საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქი ფოთი

№ **04/1743**

18 / ნოემბერი / 2019 წ.

KA000089885276619

ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N 29193, ლოტის N 630517) შედეგების გაუქმების შესახებ

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ერთ ლოტში გაერთიანებული) ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ“, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2019 წლის 17 ოქტომბრის, N04/1508 ბრძანების საფუძველზე, გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ბრძანების დანართი N1-ში მითითებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ერთ ლოტში გაერთიანებული) (პარკირების საერთო ადგილები) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით, ხოლო სააუქციონო პირობები განისაზღვრა თანახმად, ბრძანების დანართი N2-ისა.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ერთ ლოტში გაერთიანებული) ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ“, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2019 წლის 17 ოქტომბრის, N04/1508 ბრძანების დანართი N2-ით განსაზღვრული სააუქციონო პირობების „დ“ პუნქტის თანახმად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის გაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ წერილობით წარმოდგენილი უნდა იქნეს დოკუმენტაცია შესაბამისი გამოცდილების (ტექნოლოგიური სისტემის/სისტემების დანერგვასა და მართვის სფეროში) შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს მის მიერ გადახდილი „ბე“ უკან არ უბრუნდება.

2019 წლის 18 ოქტომბრის, 17:00 საათიდან 2019 წლის 01 ნოემბრის 17:00 საათამდე ელექტრონული აუქციონი ჩატარდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge (აუქციონის N 29193, ლოტის N 630517), რომელშიც მის მიერ შემოთავაზებული თანხის 70000.00 (სამოცდაათი ათასი) ლარის საფუძელზე გაიმარჯვა შპს „რეინბოუმ“ (ს/კ 420425891), მისამართი: ზუგდიდი, ს. ჭითაწყარი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N138, დირექტორი ირაკლი ანთია (პ/ნ 19001086909), რომელზეც 2019 წლის 07 ნოემბერს გაიცა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N40.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის, 2019 წლის 07 ნოემბრის, N02/4514 წერილით შპს „რეონბოუს“ გაეგზავნა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი, 2019 წლის 07 ნოემბრის, N 40 ოქმი და ეთხოვა ელექტრონული აუქციონის პირობებისა და 2019 წლის 07 ნოემბრის, N 40 ოქმის საფუძველზე, ოქმში მითითებულ ვადებში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში წერილობით წარმოედგინა დოკუმენტაცია შესაბამისი გამოცდილების (ტექნოლოგიური სისტემის/სისტემების დანერგვასა და მართვის სფეროში) შესახებ.

ამასთან, შპს „რეიონბოუ“ ინფორმირებული იქნა, რომ დადგენილ ვადებში აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ელექტრონული აუქციონის შედეგები გაუქმდებოდა და შპს „რეინბოუს“ (ს/კ 420425891) მიერ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის გადახდილი ბე - 20135.14 (ოცი ათას ასოცდათხუთმეტი ლარი და თოთხმეტი თეთრი) ლარი უკან არ დაუბრუნდება.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის, 2019 წლის 07 ნოემბრის, N02/4514 წერილი და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი, 2019 წლის 07 ნოემბრის, N 40 ოქმი შპს „რეონბოუს“ გაეგზავნა ასევე მის მიერ ელექტრონულ აუქციონში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე - gergduniko23@gmail.com და ინფორმირებული იქნა, რომ ხსენებულ ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნილი შეტყობინება ითვლებოდა ოფიციალურ შეტყობინებად.

შპს „რეინბოუს“ წარმომადგენელმა დავით შველიძემ, 2019 წლის 12 ნოემბრის წერილით (რეგისტრაციის N01/8765 14.11.2019წ) წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) შპს „რეინბოუს“ და შპს „ნეოტექს“ შორის გაფორმებული საქონლის მიწოდების შესახებ, 2017 წლის 27

ივლისის, N 27072017/Graco/01 ხელშეკრულება.
ბ) შპს „რეინბოუს“ და შპს „კავკასენერგოს“ შორის გაფორმებული, 2017 წლის 27 ივლისის, N 270717/01 ხელშეკრულება.
გ) შპს „რეინბოუს“ და შპს „დატაკომს“ შორის გაფორმებული, პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის „DataComm-Parking”-ის იჯარის და ტექნიკური მხარდაჭერის ხელშეკრულება N 01/11/19-01 (წარმოდგენილ დოკუმენტში, ხელშეკრულების რეკვიზიტებში რიცხვი „8“ მიწერილია კალმით).
დ)საგადასახადო ანგარიშფაქტურა ეა-27 1336768, 14.11.2017წ; საგადასახადო ანგარიშფაქტურა ავ-08 0016262, 15.08.2017წ; საგადასახადო ანგარიშფაქტურა ეა-08 8633380, 13.10.2017წ; საგადასახადო ანგარიშფაქტურა ავ-27 0004579, 15.08.2017წ; საგადასახადო ანგარიშფაქტურა ავ-27 0005880, 13.10.2017წ; საგადასახადო ანგარიშფაქტურა ავ-27 0004579, 15.08.2017წ; საგადასახადო ანგარიშფაქტურა ეა-08 8628574, 13.10.2017წ.
ე)2019 წლის 07 სექტემბრის ინვოისები.
ვ)ბიზნეს გეგმა.
ზ)დავით შველიძის, 2019 წლის 12 ნოემბრის, N 191377529 მინდობილობა.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას მიაჩნია, რომ იგი არ აკმაყოფილებს „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ერთ ლოტში გაერთიანებული) ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ“, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2019 წლის 17 ოქტომბრის, N04/1508 ბრძანების დანართი N2-ით განსაზღვრული სააუქციონო პირობების „დ“ პუნქტის მოთხოვნებს.
ამდენად, უნდა გაუქმდეს ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N 29193, ლოტის N 630517) შედეგები.
საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ

მუხლი 1. გაუქმდეს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე (www.eauction.ge) ჩატარებული ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N 29193, ლოტის N 630517) შედეგები.
მუხლი 2. შპს „რეინბოუს“ (ს/კ 420425891) მის მიერ ელექტრონულ აუქციონში გადახდილი ბე - 20135.14 (ოცი ათას ასოცდათხუთმეტი ლარი და თოთხმეტი თეთრი) ლარი უკან არ უბრუნდება.
მუხლი 3. შპს „რეინბოუს“ (ს/კ 420425891) მიერ ელექტრონულ აუქციონში გადახდილი ბე - 20135.14 (ოცი ათას ასოცდათხუთმეტი ლარი და თოთხმეტი თეთრი) ლარი სრულად ჩაირიცხოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.
მუხლი 4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე (poti.gov.ge) გამოაქვეყნოს წინამდებარე ბრძანებაში აღნიშნული ინფორმაცია.
მუხლი 5. ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N 29193, ლოტის N 630517) შედეგების გაუქმების შესახებ ეცნობოს შპს „რეინბოუს“.
მუხლი 6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.
მუხლი 7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).
მუხლი 8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

გოჩა კურდღელია